№1800 2015 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების (სანიაღვრე არხების, მილხიდების, ცხაურებისა და პარაპეტების მოწყობა) განხორციელების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სამი თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. უბისას მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვოს 5495 (ხუთი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) $მ^3$ ქვიშა-ხრეში, შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

№	X	Y
1	353576	4661980
2	353587	4661988
3	353737	4661924
4	353792	4661883
5	353746	4661865

6	353700	4661906
S = 0,6 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გეოლოგიურ-საინჟინრო დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზ-ღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 956 (ცხრაას ორმოცდათექვსმეტი) ლარის გადახდა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**